ვულოცავთ!
საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ოქრო გიორგი თოხაძემ მოუტანა

ოზურგეთელმა **გიორგი თოხაძემ** (55 კგ. წონითი კატეგორია) ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გამართულ მსოფლიოს 23-წლამდე ბერძნულ-რომაული მოჭიდავეთა ჩემპიონატზე 4 შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ოზურგეთში დაბრუნებულ ჩემპიონს, გულშემატკივრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დახვდნენ, სპორტსმენს გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს

გვ–8

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 25 (10461) 6 ნოემბერი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

საკრებულოს სხდომა მორიგი ხმაურითა და დაპირისპირებით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 4 845 737,09 ლარით გაიზარდა და ის 75 119, 27 ათასი ლარით განისაზღვრა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაც ხმაურითა და დაპირისპირებით დაიწყო.

საკრებულოს სხდომის გახსნის წინ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **დავით მჟავანაძემ** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ მუზეუმში თანამშრომლების გათავისუფლება გააპროტესტა.

ოპოზიციონერი დეპუტატი აცხადებდა, რომ **თანამშრომლები პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლეს**, რეორგანიზაცია „ქართული ოცნების“ ნაცადი მეთოდია და მსგავსი მეთოდებით ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება.

საკრებულოს სხდომას ქვეყნის ექს-პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი **სოფო ჯაფარიძეც** ეწრებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ მაია გოგორიკიძე ექვთიმე თაყაიშვილის სახლ მუზეუმიდან განსხვავებული აზრის გამო გაათავისუფლეს.

ეს განცხადებები მმართველი გუნდის წევრების და ოპოზიციის დაპირისპირების ფონზე ხდებოდა, საკრებულოს სხდომის დაწყება შეუძლებელი გახდა, ამიტომ იგი ნახევარი საათით გადაიდო.

სხდომის დარბაზის ფოეში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს **გიორგი ღურჯუმელიძეს** ტელევიზიების კამერების წინ (იმ დღეს 7 ტელევიზია მუშაობდა) დავით მჟავანაძემ დაუსვა კითხვა თუ რა მოტივით გაათავისუფლეს მუზეუმის თანა-მშრომლები, რაზედაც ღურჯუმელიძემ უპასუხა, რომ მჟავანაძის განცხადება ტყუილი იყო, მუზეუმში ყველაფერი ღიად და გამჭირვალედ ჩატარდა.

შემდეგ საკრებულოს სხდომათა დარბაზში ნაცმოძრაობის დეპუტატმა **თათია ნიკოლაიშვილმა** ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ აფრიკიდან ბაობის ხეების შემოტანის გამო, ფოთი-ურეკის გზაზე ამ ხეების ტრანსპორტირება გააპროტესტა, რამაც მოსახლეობის დისკომფორტი გამოიწვია.

გიორგი ღურჯუმელიძე კი აცხადებდა, რომ **ნაცმოძრაობის დეპუტატები საკრებულოს მუშაობას უშლიან ხელს, ახლა პარტიაში მიდის ბრძოლა, თუ ვინ მოხვდება საპარლამენტო საარჩევნო სიაში** – თათია ნიკოლაიშვილი თუ დავით მჟავანაძე, ამიტომაც აქტიურობენ ისინი.

შემდეგ ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ტელეჟურნალისტებმა საკრებულოს დარბაზი დატოვეს და საკრებულომ ოზურგეთის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ განიხილეს.

ოზურგეთის მუნიციპალ-იტეტის ბიუჯეტი 4 845737,09 ლარით გაიზარდა და ის 75 მილიონ

გვ–3

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირების პროგრამის შესახებ იმსჯელეს

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და საქართველოს მთავრობა, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) და შვეიცარიისა და შვედეთის მთავრობების ფინანსური მხარდაჭერით, 2019 წლიდან ახორციელებენ ფართომასშტაბიან შვიდწლიან პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირებას.

აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი,** პროექტის მენეჯერი **თამარ გუგუშვილი,** მრავლობითი საფრთხის რისკის მართვის ექსპერტი **თამარ ბაკურაძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრაზე მხარისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს პროექტის ფარგლებში მდინარე სუფსისა და ნატანების აუზებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ მიეწოდათ ინფორმაცია. ასევე, იმსჯელეს სამომავლო თანამშრომლობაზე.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჰადას მეიცადი ეწვია

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ელჩი დაესწრო სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ისრაელელ და ქართველ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს, რომელიც თავისუფალ ჭიდაობაში გაიმართა.

ელჩი შეხვდა 1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, მათთან ისაუბრა ისრაელში მიმდინარე საომარი მოქმედებების სირთულეებზე და მსოფლიოში მშვიდობის მნიშვნელობაზე.

ჰადას მეიცადი ასევე დაესწრო ღონისძიებას სამუსიკო სკოლაში, სადაც მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ქართულ-ებრაული სიმღერები შეასრულეს.

მიზანი – მუნიციპალიტეტში საჯარო-კერძო სექტორებს შორის დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბებაა

პროექტი „საჯარო -კერძო სექტორებს შორის რეგულარული დიალოგის ხელშეწყობა პარტნიორ მუნიციპალიტეტებში“ მიმდინარეობს USAID-ის „ადგილობრივი თვითმმარ-თველობის პროგრამის“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს თეტრა თეკჰ და PMCG.

პროექტის მიზანია 12 პარტნიორ მუნიციპალიტეტში საჯარო-კერძო სექტორებს შორის დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბება, რაც ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია სტრუქტურირებული და მონაწილეობითი მიდგომით პოლიტიკის შემუშავებისთვის და კოორდინაციის გზით, სექტორებს შორის ინფორმაციის, იდეების, გამოცდილებისა და ცოდნის ურთიერთგაზიარების, ორმხრივი სარგებლის მიღებისათვის.

დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა ფოკუს-ჯგუფური ინტერვიუები, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საჯარო-კერძო სექტორს შორის დიალოგის პლატფორმის ჩამოყალიბების პროცესისთვის.

ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღეს საჯარო, კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოებრივი/არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ფოკუს-ჯგუფური ინტერვიუები ჩაატარა **Tetra Tech** და PMCG- ის კონსულტანტმა – **ირმა ხვედელიანმა** და მონაწილეობა მიიღო USAID-ის „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“, კერძო სექტორის განვითარების კომპონენტის ხელმძღვანელმა – **გაგა აბაშიძემ.**

ბაჩი მიქელაძის საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა

მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლის **ბაჩი მიქელაძის** საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. კონცერტი ტრაგიკულად დაღუპული, სუფსის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელის, იური გუჯაბიძის ხსოვნას მიეძღვნა. ღონისძიებას ლანჩხუთის მერის პირველი მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე და საკრებულოს დეპუტატები ესწრებოდნენ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი „ვარდისფერი ოქტომბრის“ საერთაშორისო თვეს შეუერთდა

ლანჩხუთის სკრინინგ ცენტრის ორგანიზებითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საერ-თაშორისო თვის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო.

ღონისძიებას ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**, მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე,** სკრინინგ ცენტრის ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი **თინა ბერუჩაშვილი** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ „გამარჯვებულ ქალთან კლუბის“ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის წევრები.

ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრი ახლახან გაიხსნა, თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი. ცენტრში უფასოდ ტარდება საშვილოსნოს ყელის, მსხვილი ნაწლავის, პროსტატისა და ძუძუს სკრინინგი.

სკრინინგ ცენტრი დაფინანსებულია ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამა „ჰორიზონტი 2020-ის“ ფარგლებში. პროექტის მხა-რდამჭერია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა

ოზურგეთის საკრებულოს სხდო-მათა დარბაზში, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

საკონსულტაციო კომპანია CBI წარმომადგენელმა, **რამაზ ბოლქვაძემ,** საჯარო მოხელეებს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი პროგრამების გაუმჯობესების საკითხები გაცნო. ასევე, საბიუჯეტო პროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია უკეთ შეფასდეს მერიის მომსახურების ხარისხი და დაიგეგმოს ღონისძიებები მერიის მიერ მოსახლეობაზე მიწოდებული სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით.

პროექტი ხორციელდება USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის (Local Governance Progr-am) ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა 2024-2027 წლების საბიუჯეტო დოკუმენტების მომზადებაში.

სასკოლო ოლიმპიადა ფრენბურთში

სასკოლო ოლიმპიადის ფარგლებში შეჯიბრი ჩატარდა ხელბურთში, რომელშიც მონაწილეობას მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები იღებდნენ.

ტურნირში გოგონებს შორის პირველი ადგილი სუფსის, მეორე - სასულიეროს გიმნაზიის, ხოლო მესამე ადგილი ჯურუყვეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა დაიკავეს.

ბიჭებს შორის პირველ ადგილზე სუფსის, მეორეზე-ნიგოითის, ხოლო მესამეზე – სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები გავიდნენ.

გამარჯვებულებს მედლები და თასები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა**, მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძემ** და საკრებულოს დეპუტატმა **კარლო კვიტაიშვილმა** გადასცეს.

ოლიმპიადა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

საკრებულოს სხდომა მორიგი ხმაურითა და დაპირისპირებით

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 4 845 737,09 ლარით გაიზარდა და ის 75 119, 27 ათასი ლარით განისაზღვრა

119,27 ათასი ლარით განისაზღვრა.

რა ცვლილებები შეეხება ბიუჯეტში?

შემოსავლების ნაწილში საგადასახადო შემოსავლები, კერძოდ დამატებითი ღირებულების გადასახადი გაიზარდა – 404 600 ლარით; სხვა შემოსავლები – 524 900 ლარით; საგრანტო ხელშეკრულების თანახმად ევროპის საბჭოს ოფისმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოუყო 19 418,15 ლარი;

UNDP-ის (გაერო) მიერ საგრანტო პროექტის –სოციალური მეწარმეობის შესახებ 50 000 ლარი;

საქართველოს მთავრობის განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“– დამატებით გამოუყო 1 820 000 ლარი;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან –1 096 268 ლარი;

სამგზავრო ავტობუსების შესყიდვის მიზნით – 274 800 ლარი;

ნაგავმზიდი მანქანების შეძენის მიზნით –400 314 ლარი;

სტიქიის სედეგად დაზალაბული მოსახლეობის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმრო ხარჯების დაფინანსების მიზნით –130 000 ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგუ-ლებით საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გამოეყო –125 438 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების თანახმად გამოყოფილი თანხით გაიზარდა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ღონისძიებების მხარდაჭერა –19 418 ლარით;

საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებით: გზების და ხიდების რეაბილიტაცია –1 007 170 ლარით;

წყალსადენის და შიდა ქსელის რეაბილიტაციისათვის –89 098 ლარი;

საგზაო მოძრაობის ორგანიზება –274 800 ლარით;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, არასაფინანასო აქტივების ზრდა –400 312 ლარით;

სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია –130 000 ლარით;

საკუთარი შემოსავლებიდან შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა 100 000 ლარით; გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (სუბსიდია) – 20 000 ლარით;

მუნიციპალირი ტრანსპორტი (სუბსიდია) –11 000 ლარით;

ნარჩენების გატანა (სუბსიდია) –57 000 ლარით;

ოზურგეთის მუნიციპალიტეის მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა (სუბსიდია) 253 000 ლარით;

სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურული განვითარება, არაფინანსური აქტივების ზრდა, არასაცხოვრებელი შენობები –50 000 ლარით;

სპორტის სხვადასხვა სახეობის ხელშეწყობა (სუბსიდია) –20 000 ლარით;

საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“(სუბსიდია) –20 000 ლარით;

რაგბის განვითარების კავშირი (სუბსიდია) –320 000 ლარით;

კულტურული ღონისძიებების ორგანიზებამ ხელშეწყობა (სუბსიდია) –50 000 ლარით;

ოზურგეთის თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი (სუბსიდია) –10 000 ლარით;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო დაფინანსება (სუბსიდია) –8 500 ლარით.

შემცირდა:

ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დამხმარება –80 000 ლარით;

სოციალურად დაუცველ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება –50 000 ლარით;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება –80 000 ლარით;

სოციალურად შეჭირვებულთა ოჯახებში ახალშობილების მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება –45 000 ლარით;

გზების მსენებლობა და რეაბილიტაცია –1 024 000 ლარით.

შესაბამისად გაიზარდა:

ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა – 60 000 ლარით;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება – 195 000 ლარით;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, არაფინანსური აქტივების ზრდა –200 000 ლარით;

საგზაო მოძრაობის ორგანიზება, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები –824 000 ლარით.

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადებითი დასკვნები წარმოადგინეს საკრებულო ხუთივე დარგობრივმა კომისიამ.

31 წლის შემდეგ მშობლიური სოფლის მიწას მიაბარებენ

ნოემბრის შუა რიცხვებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში, აფხაზეთში, 1992 წლის 15 სექტემბერს დაღუპულ, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერს, **თამაზ მალაზონიას** ნეშტს მშობლიური სოფლის მიწას მიაბარებენ.

აფხაზეთის ომში ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელია ბრძოლა გაგრის დასაბრუნებლად.

15 აგვისტოს ქართველებმა დაბა განთიადში საზღვაო დესანტი გადასხეს. იმავე დღეს დესანტმა ლესელიძე შტურმით აიღეს და საქართველო-რუსეთის საზღვარზე ქართული დროშა აღმართეს. გაგრის დაკავების შემდეგ გუდაუთაში გახიზნული არძინბას გუნდი ფაქტიურად ბლოკადაში მოექცა.

ამ ბრძოლების აქტიური მონაწილე იყო გურიანთელი თამაზ მალაზონია, რომელიც 15 ლაითურელ ვაჟკაცთან ერთად მოხალისედ იყო წასული ამ ომში.

21 აგვისტოს მთიელ ხალხთა კონფედერაციამ საქართველოს ომი გამოუცხადა. აფხაზეთში „ბოევიკები“ ჩადიოდნენ ადიღეადან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ჩეჩნეთიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთიდან...

თამაზ მალაზონია და მისი მეგობრები ვაჟკაცურად ებრძოდნენ ჩრდილოეთიდან შემოჭრილ გადამთიელებს.

მახსოვს, ამ ბრძოლების მონაწილე, ლიხაურელი **იოსებ გობრონიძე** გვიყვებოდა:

– ქართველები ცდილობდნენ გადამთიელების განდევნას გაგრის მიდამოებიდან. ქართულმა მხარემ ბზიფის მიმართულებით შეტევა დაგეგმა, რომელიც 28 აგვისტოს დაიწყო. ფაქტობრივად ამ ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ჩრდილოეთ კავკასიელებს ეკეტებოდათ ყველა გზა აფხაზეთში შემოსასვლელად. სამწუხაროდ, ეს შეტევა გაგრიდან 3 კილომეტრში წითელ ჯვართან შეჩერდა, რადგან დამტყმელ ძალას ცეცხლი სამი მხრიდან გაუხსნეს.

ამას მოჰყვა ედუარდ შევარდნაძის, ბორის ელცინისა და ვლადიმერ არძინბას 3 სექტემბრის შეთანხმება, რომელიც ძალიან ცუდის მომტანი გახდა ქართველებისათვის...

შეთანხმების მიუხედავად გუმისმთის ხაზზე და გაგრის რაიონში პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობა. არსებული ინფორმაციით, თამაზ მალაზონია 1992 წლის 15 სექტემბერს დაიღუპა დაბა განთაიადთან.

სიკვდილის შემდეგ იგი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოეს.

საერთაშორისო წითელი ჯვარის საშუალებით აფხაზეთიდან იქ დაღუპულ მებრძოლთა გვამების მორიგი გადმოსვენება მოხდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ გურანთში **გია ფასიეშვილი** ამბობს, რომ თამაზ მალაზონიას იდენფიცირება მისი პირადობის მოწმობით (რომელიც თან ჰქონდა) და შემდეგ დნმ ანალიზით მოხდა. სავარუდოდ, მას 14-15 ნოემბერს ჩამოსვენებენ სოფელ გურიანთაში და ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მიმდებარედ სოფლის ცენტრალურ სასაფლაოზე დაკრძალავენ.

*– თამაზი 1964 წელს დაბადებული იყო და ერთი კლასით წინ სწავლობდა. ვაჟკაცი და მართალი კაცი იყო. ვაჟკაცურად იბრძოლა და ათეული წლების შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდება. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული –*გვითხრა, თამაზ მალაზონიას ბავშვობის მეგობარმა, გურიანთელმა **ბონდო ღლონტმა.**

ნუგზარ ასათიანი

საქართველოში მომავალი წლიდან პენსიები იზრდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, საქართველოში მომავალი წლიდან პენსიები გაიზრდება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა.

„2024 წლიდან ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 870 მლნ ლარით იზრდება. 70 წლისა და მეტი ასაკის პირთა პენსია გაიზრდება 50 ლარით და გახდება 415 ლარი. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში იქნება თითქმის 500 ლარი. შედარებისთვის გეტყვით, რომ 2012 წელს პენსია იყო 110 ლარი და 125 ლარი. ახლა არის 415 ლარი და მაღალმთიან დასახლებებში – 500 ლარამდე.

ეს არის ჩვენი ხელისუფლების მუშობის რეალური შედეგი. 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 20 ლარით და განისაზღვრება 315 ლარით და მაღალმთიანში იქნება 380 ლარი“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ძალოვან უწყებებს ჯამურად თითქმის 200 მილიონზე მეტით გაეზარდათ დაფინანსება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„რაც შეეხება ძალოვან უწყებებს, თითქმის 200 მლნ-ზე მეტით გაეზარდათ ჯამურად შინაგან საქმეთა სამინისტროს, *თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. ჩვენ დამატებით გამოვუყოფთ თავდაცვას 10 მილიონს. 50 მილიონს შინაგან საქმეთა სამინისტროს მივცემთ, საიდანაც 20 მლნ ლარი მოხმარდება სახანძრო-სამაშველო მანქანების და ტექნიკის შეძენას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. იცით, რომ სამი ვერტმფრენი უკვე შეძენილია, ფრანგული წარმოების ვერტმფრენები შეძენილია და ეტაპობრივად დაიწყება მოწოდება 2024 წელს“,*– განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი თავდაპირველად 27 მილიარდ 800 მილიონ ლარზე იყო გათვლილი. 27 მილიარდ 800 მილიონ ლარში გათვალისწინებული იყო დაფინანსების ზრდა თითქმის ყველა მიმართულებით, მათ შორის, პენსიების ზრდა,– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, საჯარო მოხელეებს, ყველას გაეზრდება ხელფასი 2024 წელსაც და ბიუჯეტში 10%-იანი ზრდა არის ჩადებული.

„შეგახსენებთ, რომ პენსიები გაიზარდა მაღალმთიან რეგიონში, 70-წელს ზემოთ პენსია უკვე 500 ლარამდე იქნება. თითქმის 400 ლარამდე იქნება 70 წელზე ქვემოთ პენსია. ასევე საჯარო მოხელეებს ყველას გაეზრდება ხელფასი 2024 წელსაც. 10%-იანი ზრდა არის ჩადებული. ბოლო სამ წელიწადში 30%-ით გაეზარდა ხელფასი ყველა საჯარო მოხელეს, მათ შორის, პოლიციელებს და ჯარისკაცებს 45-50%-ით. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ 400 მილიონი ლარზე მეტით გაიზრდება განათლების დაფინანსება მომავალ წელს“, – განაცხადა პრემიერმა.

დამატებით 70 მილიონი ლარის „ჯამურად, ბიუჯეტი იქნება სამ მილიარდ 400 მილიონი ლარი და შედარებისთვის, მინდა, ვთქვა, რომ 2012 წელს ბიუჯეტი გაიზარდა ორი მილიარდ 700 მილიონ ლარით, 419%-ით არის გაზრდილი ბატონი ქარსელაძის სამინისტროს ბიუჯეტი, 2012 წელს იყო ორ მილიარდ 700 მილიონი ლარით ნაკლები, რაც ძალიან დიდი ზრდა არის. ეს ყველაფერი ჩანს და ხედავთ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით არის მშენებლობა გაჩაღებული, იქნება ეს გზები, ხიდები, ავტობანები თუ მაგისტრალები და ა.შ. ყველა მუნიციპალიტეტის ურბანული განახლება, კურორტების, ასე ვთქვათ, განახლება და ა.შ. ძალიან საინტერესო პროექტები გვაქვს დაგეგმილი 2024 წელს, 10 ქალაქში ჩვენ დავიწყებთ მაშტაბურ სამუშაოებს, 10 ტურისტული ქალაქი გამოვყავით: ბორჯომი, ყაზბეგი, მესტია, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, ზუგდიდი და ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეები გვექნება 2024 წელს. ასევე, დასრულდება მთავარი მაგისტრალი რიკოთის უღელტეხილზე და მოკლედ, ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეები გვექნება ამ მიმართულებითაც.

თბილისსა და რეგიონებში, რაც შეეხება პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხებს, დამატებით 110 მილიონი ლარი გამოიყოფა და რეგიონებისთვის ჩვენ ახლა ჯამში გვაქვს გათვალისწინებული 450 მილიონი ლარი, მაგრამ ვნახოთ, შეიძლება, კიდევ დავამატოთ, 500 მილიონ ლარამდე ვფიქრობთ დამატებით გაზრდას, მაგრამ ამ ეტაპზე 450 მილიონი ლარი მიემართება რეგიონებში, რომელიც გადანაწილდება მუნიციპალიტეტებზე და ისინი დაიწყებენ საინტერესო პროექტების განხორციელებას. ზრდა არის გათვალისწინებული თბილისშიც, თბილისის ბიუჯეტი, მინდა, შედარებისთვის გითხრათ, 2012 წელს იყო საკმაოდ დაბალი ბიუჯეტი, 2024 წლიდან თბილისის მთლიანი ბიუჯეტი იქნება მილიარდ 875 მილიონი ლარი და შედარებისთვის გეტყვით, რომ ეს არის მილიარდ 190 მილიონამდე ზრდა, ანუ 173%-იანი ზრდა არის თბილისის შემთხვევაში, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ეფექტური მატებაა“, – განაცხადა პრემიერმა.

სოფლის ცხოვრება

ბახვი ჰესი

კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებისა და რეგიონის განვითარებაზე

თამაზ კილაძე – როგორ გავაუმჯობესოთ საქონლის ჯიშები და გავაორმაგოთ ჩვენი შემოსავალი

ლადო მენაბდე, „გურიის მოამბე“



„მესაქონლეობისათვის მთავარი მიწის ნაკვეთია, საძოვარი, საკვები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის, ის თუ როგორ გავაუმჯობესოთ საქონლის ჯიშები და გავაორმაგოთ ჩვენი შემოსავალი. სარჩოსაბადებელი ოჯახებისათვის ეს ერთი პრობლემაა, ხოლო მეორეა, როგორ გამოვიყენოთ ჩვენს საკუთრებაში არსებული მიწა მაშინ, როდესაც მცირე მეწარმეები ვართ და მეღორეობას, ან კიდევ მესაქონლეობას მივსდევთ.

სწორედ აქედან გამომდინარე, აგრონომია და ვეტერინარია მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და გლეხს, სოფლად მცხოვრებ მცირე მეწარმეს, მინიმუმ რაღაც დონეზე გარდა ინფორმირებულობისა, ცოდნის შეძ-ნაც მართებს ამ ორი მიმარ-თულებით“ – ასე იწყებს ჩვენთან საუბარს, ოზურგეთელი ვეტერინარი, მთესლავტექნიკოსი, **თამაზ კილაძე**.

„რომ გადავხედოთ სოფლებში არსებულ სიტუაციას, პირველ რიგში, დიდი ოდენობით მოუვლელი ფართობები და დაუმუშავებული მიწის ნაკვეთები მოგვხდებათ თვალში. ვაშენებთ ამა თუ იმ კულტურის პლანტაციას, შემდეგ მოუვლელობის გამო იქმნება პრობლემები. შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ გურიაში მეცხოველეობა და მეღორეობა ფაქტობრივად არ არსებობს. ამის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები არსებობს“, – ამბობს ის.

ბატონი თამაზი, ბოლო წლებია ფოთს, ლანჩხუთსა და ქუთაისის რეგიონს ემსახურება. მის სერვისზე მოთხოვნა დიდია. თუმცა, ამბობს, რომ ჩვენს შესაძლებლობებთან მიმართებაში ეს მინიმუმიც არ არის.

– ბატონო თამაზ, აქვს თუ არა დღეს გურულ გლეხს, რომელსაც ჰყავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ან ღორი, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გაზარდოს პროდუქტიულობა მინიმალური დანახარჯებით?

– შესაძლებლობა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, რა თქმა უნდა, არის მაგრამ სამწუხაროდ, გურულ გლეხს არ აქვს საჭირო ინფორმაცია. ჩვენ, მაგალითად, გლეხებს მინიმალურ ფასებში ვთავაზობთ, თავისი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის ახალ მერძევე, მეხორცე, ასევე მერძევე-მეხორცე საქონლის თანამედროვე ჯიშებს, „შვიცი“, „ჯერსი“, „სიმენტალი“ და სხვა.სწორედ ეს ჯიშები მინიმუმ გაასამმაგებენ როგორც რძის, შესაბამისად რძის პროდუქტების ასევე, ხორცის ოდენობას. მაგალითისათვის „შვიცი“, მეხორცე საქონელია – იდეალური ჩვენს პირობებში,

ჯერსი მერძევეა, მისი რძის ცხიმიანობა კამეჩის რძის შემადგენლობას უტოლდება, კიდევ „ჰორშტეინი“ მაგალითად, ჩვენი საქონელი თუ მაქსიმუმ 23-25 ლიტრ რძეს გვაძლევს, ეს 80 ლიტრზე ადის. განსხვავება თქვენ თვითონ ნახეთ.

რა თქმა უნდა, მეორე საქმეა კვება. აი ჩვენი ჯიშები, აქ ძირითადად ხევსურული და მეგრული ჯიშის საქონელია – თუ გვაძლევს 150 კილოგრამ ხორცს, „ჯერსი“ გვაძლევს 250 კილოგრამს. როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენთან დასავლეთში ძირითადად მეგრული ჯიშის საქონელი გვყავს, აღმოსავლეთში ხევსურული. ხელოვნური განაყოფიერე-ბით ორივე ჯიშის მდედრისაგან შეგვიძლია მივიღოთ კარგი შედეგი, მაგალითად, გერმანული „სიმენტალი“, რომელიც მერძევეც არის და მეხორცეც. ამ ჯიშებზე გადასვლის შემთხვევაში, რომელიც გლეხს 50 ლარი დაუჯდება, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გლეხის მდგომარეობას, რძისა და ხორცის მოსავალს მინიმუმ ორჯერ და მეტითაც გაზრდის, რატომ არ უნდა ვისარგებლთ ამ შესაძლებლობებით? მე შემიძლია ნებისმიერი ჯიშის გამოყვანა ხელოვნური განაყოფიერების გზით, იქნება ეს მეხორცე გერმანული „სიმენტალი“, ჭრელი, ასევე მერძევე ინგლისური „ჯერსი“, „ჰოლშტეინი“–ჰოლანდიური მერძევე. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ხელოვნური განაყოფიერების, ამ შემთხვევაში თესლი დაცულია, სუფთაა და მისგან რაიმე სახის დაავადებების გავრცელება წარმოუდგენელია, პირიქით ეს გზა მდედრს იცავს ამისაგან, რაც შეეხება ბუნებრივ განაყოფიერებას, ანუ, ბულას, არავინ იკვლევს მის ჯანმრთელობას განაყოფიერების დროს, სავსებით შესაძლებელია სქესობრივი გზით საქონელს სხვადასხვა დაავადება, რომელიც ბევრია მესაქონლეობაში, გადაეცეს პირუტყვს.

განვმეორდები – საქონელს სჭირ-დება კარგი კვება.

– კვება ახსენეთ და ჩვენს პირობებში გლეხს შეუძლია გამოკვების პირუტყვი?

– გეტყვით ახლა, ერთი ძროხა, მისი ხბოთი, წლის განმავლობაში რომ გამოკვებოთ, სჭირდება 1000 კვადრ-ატული მეტრი ფართობი, რა თქმა უნდა, მისი დამუშავებითა და მოვლა პატრონობით. ვფიქრობ, რომ ეს ნებისმიერს შეუძლია. შესაბამისი ტექნო-ლოგიებით, ამასაც თავისთავად ცოდნა სჭირდება.

– ბატონო თამაზ რაც შეეხება ღორს?

– ღორი არის ყველაზე იოლად, ასე ვთქვათ, გასატანი შინაური ცხოველი, თუმცა ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ის ძალიან სუსტია,

გვ–5

დავით თენიეშვილი: „მინდა, დავანახო ფერმერებს, თუ რამდენად სასარგებლოა ჩაის კულტურა“

ნუგზარ ასათიანი, გაზეთი „ალიონი“

დავით თენიეშვილი ცნობილი ბიო ფერმერი და ბიზნესმენია, რომელსაც გურიაში ჩაის კულტურის აღორძინების საქმეში მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები აქვს გადადგმული. მან რედაქციასთან სოფლის მეურნეობაში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა:

– პროფესიით მძიმე მანქანათმშენებელი ვარ. გასული საუკუნის 90-იან წლების დასწყისში ვმუშაობდი კომპანია „ბახმაროში“, რომელიც ჩაის ნარჩენებიდან პოპულარულ სასმელს „ბახმაროს“ ამზადებდა. შემდეგ მემამულეთა კავშირის კონსულტანტი ვიყავი. ქვეყანაში შექმნილი მძიმე ენერგეტიკული კრიზისიდან გამომდინარე დავინტერესდი მიკრო ჰესებით. 1997-1998 წლებში მსოფლიო ბანკის დახმარებით დავიწყე ჩემი ჩანფიქრის რეალიზაცია. მევენეხეობაც მიყვარს და ასე გავხდი სოფელ ბახვში „ჩხავერის“ მეურნეობის მენეჯერი.

– თქვენ შემდეგ საყვარელ საქმეს მოწყდით და დედაქალაქში გადახვედით...

–2008 წელს იმჟამინდელმა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა, გიორგი არველაძემ თავის მრჩევლად დამნშნა. შემდეგ არატრადიციული ენერგეტიკის ხელშეწყობისა და განვითარების სამმართველოში გადამყვანეს. ორი წელი ვმუშაობ ამ სამმართველოში განახლებადი ენერგიის: მზე, ქარი, წყლის ენერგიის თემებზე, თუმცა ეხლადაც, რომ ჩემი იდეები მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა და მშობლიურ სოფელ ბახვში დავბრუნდი.

– განახლებადი ენერგია ახსენეთ. რაოდენ მნიშვნელოვანია ენერგოუსაფრთხოება ქვეყნისათვის?

– ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, 90-იან წლებში 5 კილოვატამდე სიმძლავრის მიკროჰესებს ვამზადებდი. 50-მდე ასეთი ჰესი მაქვს დადგმული აჭარა-გურიის რეგიონში. ასევე დაინტერესებული ვიყავი განახლებადი ენერგიის კიდევ ერთი წყარო – ბიოგაზით.

ქვეყნის განვითარების პირველი საწყისი არის ელექტროენერგია. რადგან ენერგეტიკული განვითარება არის საწყისი წარმოების განვითარების.

ოღონდ მომხრე არ ვარ დიდი ჰესების მშენებლობის, რომლებიც დიდი ტერიტორიის დატბორვას გამოიწვევს. ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად იძლევა მდინარის კალაპოტი საშუალებას, აშენდეს ჰესი. ვფიქრობ, კომპანია „ბახვი ჰესი“, რომელიც მდინარე ბახვისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტებს ახორციელებს, მაგალითია იმისა, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ჰესების მშენებლობას. ჩატარებული კვლევები, მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები, გამჭვირვალობა და კომუნიკაცია, რომელიც კომპანიამ დაამყარა ამ წლების განმავლობაში პროექტით დაინტერესებულ პირებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან, უდაოდ სამაგალითოა. ვისურვებდი, რომ სხვა პროექტების განმახორციელებელი კომპანიებიც ამ მიდგომით მუშაობდნენ. ამ შემთხვევაში, ხომ თავიდან ავიცილებდით ამდენ გაუგებრობას და შეჩერებულ პროექტს.

– მოდი, ვისაუბროთ, როგორ დაიწყეთ ჩაის წარმოება, როგორ განავითარეთ იგი...

– 90-იან წლებში, როცა სახლში დასალევი ჩაი გაგვითავდა, ჩაის ფაბრიკები, ფაქტობრივად, თითქმის აღარ არსებობდა გადავწყვიტე, ჩაის წარმოება დამეწყო. ჩემი პროფესია გამომადგა,ჩაის საგრეხი როლერი დავამზადე და პატარა მდი-ნარეზე ჩემს მიერ აგებული მცირე ჰესის საშუალებით ავამუშავე. ჩაის ძირითადად ჩემს ფართობში ვკრეფდი. ასევე ვიყენებდი მიტოვებულ ფართობებს. ეს მცირე წარმოება იყო. ბანკისაგან ავიღე 28 %-იანი სესხი და ჩემი და ჩემი მეზობლების 7 ჰექტარი ჩაის ფართობის აღდგენა გადავწყვიტე.

რაც მთავარია, თითქმის მეოთხედი საუკუნეა ბიოფერმერი ვარ, „ელკანას“ პირველი წევრი რეგიონში. მე ამ იდეისთვის არ მიღალატია და დღესაც ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციას ვაწარმოებ.

მე ჩაის ძველი ინდური მეთოდით ვამზადებდი. ჩინეთში ყოფნისას ვნახე უძველესი ჩაის საგრეხები. მაღალი ხარისხის ჩაის გემო რომ გავსინჯე, ის ემოცია დღესაც მახსოვს. მაშინ ვთქვი, ***ჩაის კულტურა უნდა დარჩეს გურიის საპატიო ბარათად.***

ჩაის კულტურა წელიწადში რამდენჯერმე გვაძლევს მოსავალს. ხელით კრეფის დროს, როცა კვირტი არის იმ მდგომარეობაში, კვლავ წარმოქმნას ახალი ფოთოლი, ჩაის ვეგეტაცია 10-12-ჯერ არის შესაძლებელი.

მეორე მნიშვნელოვანი თემაა ის, რომ ჩაი დაავადებების და მავნებლების წინაშეც ძალიან მედეგი აღმოჩნდა. ამან ჩემთვის 30-წლიანი დაკვირვების შემდეგ პირველი ადგილი დიკავა და დავიწყე უფრო ღრმად ტექნოლოგიურ პროცესებში

გვ–5

თამაზ კილაძე – როგორ გავაუმჯობესოთ საქონლის ჯიშები და გავაორმაგოთ ჩვენი შემოსავალი



აქედან გამომდინარე პრობლემაა ე.წ. „შარაზე გადმოგდებული ღორები“ ,– რომლებიც სხვადასხვა დაავადებას ადვილად „იტაცებენ“. მისი კვება საყურადღებოა. აუცილებელია მისი ლოკალიზება და გარკვეულ ფართობში მოქცევა შევძლოთ. საქართველოში ღორის ბევრი ჯიში გვაქვს, შემოდის ამ ბოლო დროს უცხოეთიდანაც, მაგალითად ჰოლან-დიური „ლანდრა“, მაგრამ მე გლეხებს ვურჩევდი კახური ჯიშის ღორების მოყვანას. ვფიქრობ, რომ ის ყველაზე მეტად წარმატებულია ჩვენთან. ღორი საერთოდ ყველა ჯიშის კარგია, მაგრამ კახურ ღორს არა აქვს ზედმეტი ცხიმიანობა, წყობა, ე.წ. „ბეკონი ხორცი“ აქვს კარგად, მჭლე, ნარია, აგრონომია ჩვენს ქვეყანაში ვერ ვიტყვი, რომ არ არსებობს მეთქი, მაგრამ ძალიან დაბალ დონეზეა, ერთადერი კახა ბენდუქიძე იყო, რომელიც ამაზე ზრუნავდა და ბევრი რამ გააკეთა, სამწუხაროდ კიდევ უფრო ბევრი ვერ მოასწრო. მიუხედავად იმისა, რომ „გეორგიანელები“ ვართ, ეს დარგები ჩვენთან პოპულარული არ არის. ჩვენთან, ყველა საერთაშორისო ეკონომიკაზე გარბის და სად გვაქვს ამდენი ეკონომიკა, თანაც საერთაშორისო, მომკალით და ვერ ვხვდები.

ოზურგეთში, თუ გნებავთ ლანჩხუთსა და ჩოხატაურშიც, ანუ გურიაში, ეკომიგრანტები რომ არ იყვნენ სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა საერთოდ არ გვექნებოდა და არც ბაზარზე იქნებოდა ადგილობრივი პროდუქცია.

– რომელი სოფლებიდან გაქვთ ყველაზე დიდი მომართვიანობა?

– სხვათაშორის, ბევრი მომართვა მაქვს მთისპირიდან, უკანავადან, ბახვის ხეობიდან, სხვა სოფლებთან შედარებით უფრო მეტი. როგორც ვიცი ამ სოფლებში მუშაობენ ინვესტორები. საერთოდ ვფიქრობ, რომ ინვესტიციები, ინფრასტრუქტურული პროექტები როგორც პირდაპირ ასევე, ირიბად დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. გზა გაკეთდება, ადამიანები დასაქმდებიან, ბევრ ოჯახში დოვლათი შევა, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის, ასე რომ, მე მივესალმები მსგავსი ტიპის აქტივობებს და მასში მხოლოდ დადებითს ვხედავ.

ქონი, მჭლე, ქონი და ასე შემდეგ. მივიჩნევ, რომ უნდა შევინარჩუნოთ დედა ღორი. დანარჩენი, როგორც კი 10 კილოგრამს გადააჭარბებს, უმჯობესია მისი რეალიზაცია. ჯიშთა გაუმჯობესება, რომელიც სულ რაღაც 50 ლარი გვიჯდება, ჩვენ სოფლებში მაცხოვრებლებს უცებ აძლევს შესაძლებლობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მდგომარეობა.

საერთოდ, სამწუხაროდ ვეტერინარია, აგრონომია ჩვენს ქვეყანაში ვერ ვიტყვი, რომ არ არსებობს მეთქი, მაგრამ ძალიან დაბალ დონეზეა, ერთადერი კახა ბენდუქიძე იყო, რომელიც ამაზე ზრუნავდა და ბევრი რამ გააკეთა, სამწუხაროდ კიდევ უფრო ბევრი ვერ მოასწრო. მიუხედავად იმისა, რომ „გეორგიანელები“ ვართ, ეს დარგები ჩვენთან პოპულარული არ არის. ჩვენთან, ყველა საერთაშორისო ეკონომიკაზე გარბის და სად გვაქვს ამდენი ეკონომიკა, თანაც საერთაშორისო, მომკალით და ვერ ვხვდები.

ოზურგეთში, თუ გნებავთ ლანჩხუთსა და ჩოხატაურშიც, ანუ გურიაში, ეკომიგრანტები რომ არ იყვნენ სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა საერთოდ არ გვექნებოდა და არც ბაზარზე იქნებოდა ადგილობრივი პროდუქცია.

– რომელი სოფლებიდან გაქვთ ყველაზე დიდი მომართვიანობა?

– სხვათაშორის, ბევრი მომართვა მაქვს მთისპირიდან, უკანავადან, ბახვის ხეობიდან, სხვა სოფლებთან შედარებით უფრო მეტი. როგორც ვიცი ამ სოფლებში მუშაობენ ინვესტორები. საერთოდ ვფიქრობ, რომ ინვესტიციები, ინფრასტრუქტურული პროექტები როგორც პირდაპირ ასევე, ირიბად დადებითად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე. გზა გაკეთდება, ადამიანები დასაქმდებიან, ბევრ ოჯახში დოვლათი შევა, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის, ასე რომ, მე მივესალმები მსგავსი ტიპის აქტივობებს და მასში მხოლოდ დადებითს ვხედავ.

დავით თენიეშვილი: „მინდა, დავანახო ფერმერებს, თუ რამდენად სასარგებლოა ჩაის კულტურა“



ჩახედვა, რაშიც ცნობილ მეცნიერებთან თანამშრომლობაც დამეხმარა.

ბიზნესმენ შოთა ბითაძესთან ვთანამშრომლობ, რომელსაც ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე აქვს საკუთარი ჩაის მაღაზია, ჩაის პატარა მუზეუმთან. იგი წარმომავლობის აღნიშვნით აფასოებს და ჰყიდის ჩემს პროდუქციას.

*ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ***ქართული ჩაის ნედლეული არ არის გარემოს ზემოქმედებიდან დანაგვიანებული და დაბინძურებული, პარაზიტებით დაავადებული.*** *ეს საშუალებას გვაძლევს რომ მეტად დავხვეწოთ ჩაის დამზადების ტექნოლოგია. ქართული ჩაი მსოფლიოს საუკეთესო ჩაის ათეულში აუცილებლად მოხვდება.*

– თქვენ წინა კვირაში, ანასეულში მეჩაიეთა შეხვედრა-სემინარში მონაწილეობდით, სადაც წარმოადგინეს მწვანე ჩაის წარმოების ახალი სამანქანო ტექნოლოგია, რომელიც ენერგოდამზოგავი დანადგარის ბაზაზეა შექმნილი. თქვენი აზრი გვაინტერესებს ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიებთან დაკავშირებით?

– მწვანე ჩაის შემთხვევაში გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქართული ჩაის მოხალვის ტექნოლოგია არის ერთ-ერთი საუკეთესო, რომელიც ძალიან არომატულ ნაზ გემოვნებას ავლენს.

შავი ჩაის შემთხვევაში, ჩვენივე შექმნილმა ცილინდრულმა საშრობ-დანადგარმა აჩვენა საუკეთესო შედეგი.

რა არის აქ განსაკუთრებული? ჩაის ფოთოლი იღებს სპირალურ ფორმას. ტრანსპორტაბელურია და არ იმტვრევა, არა მოცულობდა.

„აწარმოე საქართველოს ფარგლებში“ მიღებული მაქვს ჩინური სფერმეტალური დანადგარი, საგრეხი და ასევე კოშტების დამშლელი დანადგარი.

ასევე გვაქვს კორეული კარაბის ტიპის საშრობი, რომელიც გაზზე მუშაობს, რომლითაც ჩაის კრეფის სეზონზე შეგვიძლია მაღალი და უმაღლესი სარისხის ჩაის შრობა, ხოლო შემდეგ აქ ვაშრობთ ხილს, ციტრუსს,კივს, ფეიხოას, ხურმა-კარალიოკს.

გვაქვს სხვა სიახლეებიც. ჩაის თესლიდან ვამზადებთ ჩაის ზეთს, *რომელსაც 99%-იანი ცხიმიანობა აქვს და გამოიყენება პარფიუმერიაში და სამედიცინო მასაჟში.*

ჩაის თესლისგან მიღებული ზეთი ანტისეპტიკურია და მისი დამზადების 4-წლიანი გამოცდილება გვაქვს.

ვამზადებთ და ვაშრობთ ჩაის ყვავილს, *რომელიც ასევე ძვირადღირებულია თავისი განსაკუთრებული თვისებებით. იგი იქნება შავი და მწვანე ჩაის დანამატი, რომელიც გაამდიდრებს მათ ანტიოქსიდანტური ნივთიერებებით.*

თეთრი ჩაი თავისი თვისებებით უნიკალურია და განსაკუთრებული ქლოროფილის (მცენარეული „ჰემოგლობინი“) შემადგენლობაა ამ ჩაში. ჩვენ ამ სახის ჩაისაც ვაწარმოებთ...

რა თქმა უნდა, მისასალმებელია ანასეულელი მეცნიერების გარჯა, ყველაფერის დამზადება შეიძლება აქ, მაგრამ ძალიან დიდი დრო სჭირდება შეკვეთის შესრულებას.

–ახლა რა ეტაპზეა თქვენი ჩაის წარმოება?

– წლების მანძილზე ჩაისთან ერთად გამომყავდა ნერგები, მქონდა სათბური, სადაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას ვაწარმოებდი. წლიურად 15-20 ათასი კივის ნერგი გამომყავდა... ახლა ჩემი წარმოების გაფართოებაში ჩემი ვაჟი ჩაერთო. მან აწარმოე საქართველოს ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში „ახალგაზრდა მეწარმეთა ხელშეწყობა სოფლად“ პროექტი მიიღო, რომელიც წარმოების შენობის აგების თანა-დაფინანსებას ითვალისწინებდა. მთ პროექტის ღირებულების 45 პროცენტი დაგვიფინანსეს. ავაგეთ 2-სართულიანი შენობა, რომლის საერთო ფართი 400 კვადრატული მეტრია.

შემდეგ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გაკეთდა 960 მეტრი ასფალტირებული გზა წარმოებამდე.

სეზონზე ჩვენს წარმოებაში 35 ადამიანია დასაქმებული.

– რა ძირითად მიმართულებას აძლევთ უპირატესობას?

– ჩემი ძირითადი ინტერესი ტურისტული მიმართულების განვითარებაა. ჩვენთან ტურისტები მოდიან გერმანიიდან, ჩეხეთიდან და ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნებიდან. თუ როგორ მოსწონთ აქაური სივრცე, ამაზე ის მეტყველებს, რომ ტურისტული ჯგუფები განმეორებით, 3-4-ჯერ მოდიან.

შრომაში ოჯახი მიდგას მხარში და ვზრუნავთ ტურისტებს ჩაის გარდა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით გავუმასპინძლდეთ. გვყავს „ჯესრის“ და „შვიცის“ ჯიშის მერძეული საქონელი, ფრინველები. გვაქვს მცირე სათევზე მეურნეობა...

სწორედ ტურისტების დადებითმა ემოციამ განაპირობა „ჩაის გზის“ არსებობაც. ტურიზმის დეპარატამენტს წარვუდგინეთ ეს ინიციატივა და გარკვეული კრიტერიუმებით შეირჩა ლოკაციები. ამ პროექტის განხორციელებაში ჩართულია USAID-ის ეკონომიკური უსაფრთოხების პროგრამა და კომპანია „ბახვი ჰესი“. მათი ერთობლივი დაფინანსებით მოხდა როგორც ლოკაციების შერჩევა, ასევე სამოსახლოების მფლობელების დატრე-ნინგება სტუმარ - მასპინძლობის მიმართულებით. პერიოდულად ეწყობა გამოფენები, სადაც ძალიან დიდი სიამოვნებით ვიღებთ მონაწილეობას. ამ გამოფენების ფარგლებში დიდი აუდიტორია ეცნობა ჩვენს პროდუქციას და გვაქვს საშუალება გამოფენა - გაყიდვის ფარგლებში, პროდუქციის რეალიზაცია მოვახდინოთ.

–რას ითვალისწინებდა აღნიშნული კრიტერიუმები?

– აუცილებელი იყო, ჩაის გადამამუშავებელ საწარმოსთან ყოფილიყო ჩაის პლანტაცია, საწარმოს უნდა ჰქონოდა სადეგუსტაციო სივრცე. მინიმუმ უნდა დაემზადებინა 2 სახეობის ჩაის (შავი და მწვანე) პროდუქცია.

პირველი „ჩაის ფესტივალი“ 2018 წელს გაიმართა, რამაც სპეციალისტების, ტურისტების მოწონება დაიმსახურა. ახლა კომპანია „ბახვი ჰესი“ გვიდგას მხარში და ვფიქრობ, „ჩაის ფესტივალი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღონისძიება იქნება რეგიონში.

– როგორ მიმდინარეობს ჩაის კულტურის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები?

– ჩემი მონაწილეობით უკვე აღდგა 200 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. აქედან მაღალ ეწერში 25 ჰექტარი, ნაგომარში 60 ჰექტარი.

წარმოშობით სოფელ ქედა ბახვლები არიან ამერიკაში მცხოვრები ბიზნესმენები, ძმები ვანო და სერგო ნაკაიძეები. მათ სოფელში წმინდა მარინეს სახელობის ტაძარი აგეს. მე აქ საკვირაო სკოლაში ბავშვებს სამეურნეო საქმეს ვასწავლი. მე ნაკაიძეებს შევთავაზე მონაწილეობა მიეღოთ განადგურების პირას მისული ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციაში. მათ ლაითურ-ნარუჯაში 100 ჰექტარი ჩაის გავერანებული პლანტაცია შეიძინეს. უკვე აღვადგინეთ 45 ჰექტარი ფართობი. ძირითადად ეს იქნება ჩაის ბიომეურნეობა თავისი წარმოებით. დაწყებულია და გაშენდება სხვა კულტურებიც: პავლონია, დაფნა, სტევია...

ჩაი არის სოციალური პროექტი – კულტურა.. მასში გული უნდა ჩადო, რომ კარგი შედეგი მიიღო.

ალიონი
უმჯობესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებ

მაგიდის ჩოგბურთელთა ისტორიული წარმატებები საერთაშორის ასპარეზზე

25 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით საბერძნეთმა უმასპინძლა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს მაგიდის ჩოგბურთში (EUROPE YOUTH SERIES). აღსანიშავია, რომ აღნიშნული ტურნირი სარეიტინგოა **U**13 და U15 ასაკის ახალგაზრდებს შორის და მასში ქვეყნის ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობენ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებში გამოდიოდნენ: საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და საერთაშორის ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი წარმოშობით ოზურგეთელი – ანასტასია ჩხარტიშვილი. ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, თეკლა ლიპარტელიანი, მათე ღამბარაშვილი. (ნაკრების მწრთვნელები: გიორგი სარხაიანი, ნინო ნინოშვილი)ჩვენი ნაკრების U15 გუნდის წევრმა **ანასტასია ჩხარტიშვილმა** აღნიშნულ კატეგორიაში პარტიის წაუგებლად იასპარეზა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მეოთხედ ფინალში მან დანიის წამომადგენელი ფილიპა მიკელბორგი ანგარიშით 3:0 (11-4,11-5,11-4) დაამარცხა. ნახევარფინალში კი მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელს ბერძენ ანგელა ნოურეს დაძაბულ და სანახაობრივ ბრძოლაში სძლია ანგარიშით 3:1 (11-5, 1-8, 9-11,15-13) ფინალში ანასტასია ჩინეთში დაბადებულ დანიის წამომადგენელს ლუ სალის დაუპირისპირდა. უნდა აღინიშნოს, რომ, ანასტასიამ მაღალი პროფესიონალური საშემსრულებლო ოსტატობა უჩვენა დამსწრე აუდიტორიას და მტკიცე ხასიათი წამოაჩინა. ანასტასია ჩხარტიშვილმა მიუხედავად მოწინააღმდეგის მხრიდან უწყვეტი შეტევების მცდელობისა, შესძლო მათი განეიტრალება, თამაშის დაბრუნება და საბოლოო გამარჯვების დამაჯერებლად მოპოვება ანგარიშით 3:1 (11-6, 9-11, 11-2, 11-5). **უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამარჯვებით ანასტასია ჩხარტიშვილი გახდა პირველი ქართველი მაგიდის ჩოგბურთელი, რომელმაც ტურნირზე გამარჯვების ნიშნად აღმართა საქართველოს დროშა ევროპის მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო კავშირის (ETTU) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ტურნირზე.**

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

დასწყისი „ალიონი“ №17-21,23



ილიას მკვლელობის საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე (1941 წლის 22 ივნისამდე) მიიღეს. პირველი მოწმეები 1941 წლის იანვარში დაიკითხნენ. გიგლა ბერბიჭაშვილი პასუხისგებაში მისცეს 1941 წლის 14 ივნისს (ომის დაწყებამდე რვა დღით ადრე). გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმამ გამოძიება ვერ შეაფერხა. 1941 წლის ნოემბრის ბოლოს გამოძიებამ საქმე გადასცა საქართველოს უმაღლეს სასამართლოს. 1941 წლის 27 ნოემბერს შედგა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამზადებელი სხდომა. სასამართლო პროცესი დაიწყო 1941 წლის 25 დეკემბერს, განაჩენი გამოცხადდა 1942 წლის 5 იანვარს.

ცხადია, 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ხელისუფლებას შეეძლო გადაედო გამოძიება და სასამართლო პროცესი. მაგრამ, ჩანს, იოსებ სტალინი სხვაგვარად ფიქრობდა: **ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიებასა და სასამართლო პროცესს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა, რომელიც სცილდებოდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს.**

და მაინც, ამ შემთხვევაშიც ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით წარიმართა. ყველა ჩვენება გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტებში (ოქმებში, სტენოგრამებში) იმ სახით შევიდა, როგორიც ეს ხელისუფლებას სურდა. დღეს შეიძლება ძნელი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავდა 1941 წელს ისეთი ჩვენების მიცემა, რომელიც მოულებელი იყო ხელისუფლებისათვის. ამიტომ იყო, რომ გამოძიებაც და სასამართლოც მივიდნენ დასკვნამდე: **ილია ჭავჭავაძის მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების შეკვეთით განახორციელა ოხრანკამ.**

1941-1942 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი, ისევე, როგორც XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული ილიას მკვლელობის თაობაზე მიმდინარე მასალების მოკვლევა, იყო დადგმული სპექტაკლი. რით უნდა დამთავრებულიყო ძიება და რა განაჩენი უნდა გამოეტანა სასამართლოს, წინასწარ იყო ცნობილი.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ 1907-1909 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა, სიმართლის დადგენის თვალსაზრისით 1907-1909 წლების მასალები უფრო საყურადღებოა, ვიდრე 1941-1942 წლებისა. 1907-1909 წლების მასალებში მცირე დოზით, მაგრამ მაინც აისახა სიმართლე. 1941-1942 წლების მასალები ისეა გაყალბებული, რომ სიმართლის დასადგენად თითქმის მთლიანად გამოუსადეგარია. ილიას მკვლელობის ისტორიის შესწავლა სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ფერხდება.

1941 წლისათვის ილიას მკვლელობის ორგანიზატორთაგან მხოლოდ ფილიპე მახარაძე იყო ცოცხალი, მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელთაგან – აღარავინ, ილიაზე თავდასხმის მონაწილეთაგან (ტერორისტთაგან) კი – მხოლოდ გიგლა ბერბიჭაშვილი. რადგან ილია ოხრანკის მიერ მოკლულად უნდა გამოცხადებულიყო, ფილიპე მახარაძით გამოძიება და სასამართლო საჯაროდ ვერ დაინტერესდებოდა. რჩებოდა გიგლა ბერბიჭაშვილი. გადაწყდა: **გიგლა ბერბიჭაშვილი უნდა გამოცხადებულიყო ოხრანკის აგენტების მიერ დაქირავებულ მკვლელად, რომლის გასროლილმა ტყვიამაც სიცოცხლე მოუსწრაფა ილიას.** რადგან მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელთაგან ცოცხალი აღარავინ იყო, ანუ აღარ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ტერორისტთა ჯგუფი შეადგინეს და ილიას გზაზე ჩაუსაფრეს, ძიებასა და სასამართლოს არ გაუჭირდებოდა იმის დამტკიცება, რომ ილიას მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები ოხრანკის აგენტები იყვნენ და ოხრანკის დავალებით მოქმედებდნენ. ძალზე გაჭირდებოდა, უფრო ზუსტად, ძალზე არადამჯერებელი იქნებოდა, გიგლა ბერბიჭაშვილის ოხრანკის აგენტად გამოცხადება. გამოძიებასა და სასამართლოს ეს არც უცდია. სამაგიეროდ, აუცილებელი იყო იმისი „დადასტურება“, რომ **გიგლა ბერბიჭაშვილი 1907 წელს არც რსდმპ წევრი და არც 1905-1907 წლების რევოლუციის დროს სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული „წითელი რაზმის“ წევრი და მეთაური ყოფილა, სოციალ-დემოკრატების დავალებით ტერორისტული აქტები არ განუხორციელებია, ხოლო 1921-1922 წლებში კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის მანდატი თაღლითობით მიიღო და პენსიაც თაღლითობით დანიშნა. ყოველივე ამის „დამტკიცება“ გამოძიებამ და სასამართლომ „შეძლო“.**

თუ გიგლა ბერბიჭაშვილი არც ოხრანკის აგენტი ყოფილა და არც რსდმპ წევრი, მაშ, ვინ იყო იგი? ამ კითხვაზე გამოძიებას და სასამართლოს ასეთი პასუხი ჰქონდა მზად: **გიგლა ბერბიჭაშვილი იყო უიდეო, უზნეო, გახრწნილი, გადაგვარებული ადამიანი, რომელიც ოხრანკის აგენტებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობაზე დათანხმეს.**

ასე იქცა გიგლა ბერბიჭაშვილი გამოძიებისა და სასამართლოსათვის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში ცენტრალურ ფიგურად.

1941-1942 წლებში გამოძიებამ და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია:

1 ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ნებით განხორციელდა (**მკვლელობის დამკვეთი**);

2. *მკვლელობა მოამზადა ოხრანკამ* ***(მკვლელობის ორგანიზატორი);***

3. *მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვა-ნელობდნენ ოხრანკის აგენტები* ***(მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები);***

4. *ოხრანკის აგენტებმა უიდეო, გადაგვარებული, ზნედაცემული და გახრწნილი ადამიანებისაგან შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელიც თავს დაესხა ილიას 1907 წლის 30 აგვისტოს* **(მკვლელობის უშუალო მონაწილენი).**

ამრიგად, სქემა ასეთ სახეს იღებდა: რუსეთის იმპერიის ხელისუფლება (მკვლელობის დამკვეთი) – ოხრანკა (მკვლელობის ორგანიზატორი) – ოხრანკის აგენტები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები) – ტერორისტები (ილია ჭავჭავაძეზე თვდასხმის მონაწილენი).

იოსებ სტალინმა, ლავრენტი ბერიამ და ბევრმა სხვამაც შესანიშნავად უწყოდნენ ჭეშმარიტება, რომელიც უკვე მეორედ მიიჩქმალა:

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(ვ. გურული „საქართველოს ახალი ისტორია,“ ტ.3. გვ. 546 - 547)

სკანვორდი

ზევსის შექმნილი ქალი
გასწვრივ
თავსატეხი
ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში
ინტერის ფეხბურთელი
კაპიტან ნემოს გემი
სახლ-კარი
ავტომობილის მარკა
დათვის სახეობა
სასიყვარულო სიმღერა
საქართველოს მეფე
გორა...
რომაელი თვითმმართველობის წარმომადგენელი
მხარე ესპანეთში
არასერიოზული
მოსაპირკეთებელი ქვა
საბუნიბესმეტყველო მეცნიერება
ღვინის ჭურჭელი
ძაღლის ჯიში
იტალიელი მხატვარი
ტყავის დამუშავებული საწერი მასალა

პასუხები:

ილიას მკვლელობის საქმეში ცენტრალურ ფიგურად: ბერბიჭაშვილი; ილიას ადამიანებისაგან შედგენილ ტერორისტულ ჯგუფში: ბერბიჭაშვილი; ილიას ადამიანებისაგან შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი

ამბავი ორი მოთხრობის მსგავსებისა და განსხვავებისა

გაგრძელება დასაწყისი გაზ. „ალიონი“ №23

გვარიანი ამონარიდის მოსმენა მოგვიწია, ბატონებო, თუმცა, ღირდა! აბა, როგორია ასეთი თხრობის შეწყვეტა და თუმდაც მსგავსის ან უკეთესის მოსმენა და მაინც მოგვიწევს. ხომ გახსოვთ ორი გმირის ცხოვრებაში, მაჭანკლები შემოიჭრება.

ხომ გახსოვთ, ლუარსაბის მაჭანკალი, გძელაძისგან მოგზავნილი, გახლდათ ერთი მოხუცებული, დარბაისელი, ღარიბი და ქვრივი დედაკაცი, რომელიც მას აქეთ, რაც ქმარი მოჰკდომოდა, ამ პატიოსანის ხელობით თავს ირჩენდა. ამას „სუტ კნეინას“ ეძახოდნენ, იმიტომ რომ ამისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა და ვერ დაიმტკიცა. ჩვენც ეგრე დავუძახოთ“.

დავუძახოთ, თუმცა, ჯერ ჯერანის მაჭანკალს „მივხედოთ“. ხომ გვახსოვს, ჯერანის მაჭანკალი მამიდამისია და თავად აღიარებს მაჭანკალი რომ არ არის.

„– ახლა მე მაჭანკალი არ ვარ, რომ მოვყვე ასეა და ასე-მეთქინ. ზალიკაი (სხვათაშორის, ლუარსაბის მამას რა ერქვა გახსოვთ?) ღარიბია, აგი შენც ქე გაგიგონია. ესე ციცაი კაი ციცაია, კაი თვალტანადი, კაი მეოჯახე. მე უფრო კიდევ იმიზა ვიფიქრე აი საქმე, რომ ზალიკაის ოჯახი, თქვენი არ იყოს, მართალი და პირიანი ოჯახია. აწი თქვენც ნახეთ და თუ დაგიჯდეს იგია, ქე ათხოვიეთ ბიჭს; თუ არა და თქვენ იცით. ესე ჩემი ჭკუით, ამ ოჯახის შესაფერი კია.

– აბა, ბიჭს ნუ ვეტყვით ამეღამ, ხვალ მე წავალ, ვნახავ ქალს და თუ დამიჯდა, მაშინ კიდეც ვუთხრათ და საქმეც გავაკეთოთ, - უთხრა ხვარამზემ.

– ბიჭს რეიზა ნუ ვეტყვით? შენ ნახვას იგი არ ჯობს, იმან ნახოს და, თუ დუუჯდება ქალი, მერე საქმე დავიწყოთ, – უპასუხა ქალიჯანმა.

ხვარამზე ერთხანს არ გაუხდა ამ აზრის თანახმა. მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, მოეწყვენ რძალი და მული ერთმანეთში და გადაწყვიტეს, რომ ჯერანსაც გაანდონ ამთავითვე ეს ამბავი.“

მოკლედ, ორი განსხვავებული მაჭანკლის ორი ნამოქმედარის მედარების დრო კია, მაგრამ არ შევადარებთ, ისედაც გვახსოვს – ორი მაჭანკლის ნამოქმედარი ორი ფინალი. ისე, აბა, როგორია, თუნდაც ეს ადგილი წაიკითხო და დაგავიწყდეს:

„– მოგწონს ქალი?

– ყველამ მიღალატა, ყველამ! - უპასუხა გულმოკლულად ჯერანმა.

– რა ვქნათ ახლა?

– რაღა უნდა ვქნა! სხაპში ვარ გაბმული და რაღა უნდა ვქნა! ცხენები რომ ხელში გვყავდეს, კიდევ რამეს ვიფიქრებდი, თუ გინდა მოვეკალი. ახლა რაღაი!

– სადაა, თუ იცი, ჩვენი ცხენები?“

ცხენები? ცხენებიც იქვეა და სულ უფრო გვაახლოვებენ ორ მოტყუებულ თუ ღალატგამოვლილ ნეფესთან! ორი ქორწილის ორი სხვადასხვა შედეგი და მაინც, ორი მოთხრობის ლამის იდენტურ ფინალთან.

კვდება ყველა! ერთიმეორის მიყოლებით კვდება ყველა უმომავლოდ, უპერსპექტივოდ და მაინც, ჩემს წერილს ასე ვერ დავასრულებ. კიდევ რამდენიმე არამსგავს ეპიზოდებზე უნდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება და მათ შორის ერთ-ერთია პერსონაჟთა სახელები და ავტორთა მათ მიმართ დამოკიდებულება!

„კაცია ადამიანის?“ პერსონაჟებით დავიწყოთ – ლუარსაბით და დარეჯანით (კი, რასაკვირველია, სხვებიც არიან, თუნდაც დავითი და ელისაბედი, არაფერს ვამბობ მოსე გძელაძესა და მაჭანკალზე, მაგრამ მათზე მიზეზთა გამო ყურადღებას არ დავუთმობ). დავიწყოთ და ვთქვათ, რას გვეუბნებიან მათი სახელები, გარდა იმისა, რომ ლუარსაბი სპარსული წარმომავლობის ბიჭის სახელია და წითელი ცხენის პატრონს ნიშნავს და ესაა სულ! დარეჯანს, როგორც პერსონჟის სახელს არა მგონია რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ნაწარმოებისათვის. ვიმეორებ, ნაწარმოებისთვის, თორემ, მშვენიერი სახელია, მარტო ნესტან-დარეჯანი რად ღირს!

მოკლედ, იცით, რისი თქმა მინდა, ილია არანაირი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია პერსონაჟთა სახელებისთვის, უნდოდა და დაარქვა!

სულ სხვა ვითარებაა „პარტახში“.

„პარტახიდან“ ოთხ პერსონაჟს გამოვყოფ: ჯერანი, ლიზა ანუ მელანია, ლევანი და ლუკა. გახსოვთ ხომ, ვინ, ვინაა? ჯერანი ანუ ჯეირანი ქურციკი რომ არის და ხშირად ვეფხვისა და აფთრის საკბილოა რომ არის ეს ვთქვი უკვე, და აღარ გავიმეორებ, სულ სხვა კითხვაა დასასმელი ვინაა „პარტახში“ ვეფხვი და ვინაა „პარტახში“ – აფთარი, გინდა ზოლებით და გინდაც უზოლოდ. არა მგონია ნაწარმოებში ბევრთაგან ორადორის ამორჩევა ამორჩევა ძნელი საქმე იყოს!

ლიზა, იგივე ელისაბედია (ხომ გახსოვთ, ჯერანის დას ჰქვია!), ებრაული სახელია და ნიშნავს „ღმერთი არის ჩემი ფიცი“ ან ან „ის, ვინც იფიცებს ღმერთს“. ეს მხოლოდ ნიშნავს, და, ვფირობ მკითხველმა ჩემზე უკეთ იცის, ვინ და როგორ იფიცებს ღმერთს (ღმერთი სინათლეა!) და ასრულებს ამ ფიცს!

ლიზა ანუ მელანია (ბერძნული სახელია „შავს„„და „ბნელს“ ნიშნავს ქართულად და გვაქვს ადამიანის ტრანსფორმაცია ნათელიდან - ბნელში!)?

ელისაბედი?

არც ერთი და არც მეორე, სამწუხაროდ.

არადა, ხომ შეიძლებოდა ყოფილიყო ლიზა ბედნიერი, ხომ გამოჩნდა ცხოვრებაში ლევანი იგივე ლომი (წარმოგიდგენიათ დარეჯანის თუნდაც სულ უბრალო ფლირტი გათხოვებამდე ან მას მერე?!)! ხომ შეიძლებოდა სულ სხვა ცხოვრების დაწყება ლომთან ერთად, ლომთან, რომელსაც წესითა და რიგით არანაირი ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს არც ვეფხვთან და თუ მაინც და მაინც, აფთარი დაესხმება თავს, ვაი იმ აფთარს ერთს და გინდა რამდენიმე ერთეულს!

ლუკაზეც ვიტყვი სულ რამდენიმე სიტყვას და მოვრჩები წერილის ამ ნაწილს.

ლუკა, ლუკა მახარობელს რომ გაგახსენებს წაკითხვისთანავე, ჩემთვის სრული ჭეშმარიტებაა, ისიც სრული ჭეშმარიტებაა „პარტახში“ იგი მახარობელი კი არა, მომავლის, იმედისა და ოცნებების მსხვრევის სინონიმი რომაა.

სამწუხაროა, მაგრამ, ლუკა უნდა მოკვდეს და ეს მკითხველმა მანამდე იცის, ვიდრე ამას თავად ბატონი ეგნატე გვამცნობს!

ასეთია „პარტახის“ ლოგიკა, რომელიც რამდენადმე განსხვავდება „კაცია ადამიანის?!' ლოგიკიდან. წარმოუდგენელია ლუარსაბისა და დარეჯანის თუნდაც უდღეურად დაბადებული შვილი! უშანსო წყვილის შანსი, მხოლოდ ლოდინი და იმედია!

აი, დავწერე სიტყვა იმედი და „პარტახიდან“ ერთი არცთუ უმნიშვნელო გმირი (?!) გამახსენდა. გმირის თუ არაგმირის სახელი ნიკოა, გვარი მოახლიშვილი. სახელი ნიკო ბერძნული წარმომავლობის ბიჭის სახელია. სულ ორადორ მარცვლიანი სახელია და ძლევამოსილს ნიშნავს! ნიშნავს და ძაან მაგარი უნდა იყო, ეგნატე ნინოშვილის „პარტახის“ კითხვისას ამ ამბავს მნიშვნელობა არ მიანიჭო.

მიანიჭებ და იმწამსვე ნიკოს მსგავსი გმირის „კაცია ადამიანში?!“ არსებობის საკითხით არ დაინტერესდე კაცი. არაა! წარმოუდგენელი ამბავია ვინმესთან ერთას ფიჩხზე მიმავალი დარეჯანი, ხბოების სამწყესავად მიმავალი დარეჯანიც ძნელი წარმოსადგენია და ვისაც წარმოდგენა შეუძლია, დაე, იყოს ნება მისი, მე ზალიკა ნარიშვილის მეზობელი მინდა უფრო ახლოს გაგაცნო:

„ზალიკა ნარიშვილის მეზობლად ესახლა ერთი ობოლი გლეხი, ნიკო მოახლიშვილი. ლიზა და ნიკო, როგორც ახლო მეზობლები და ერთი წლოვანებისა, ბავშვობისას ერთად დადიოდენ ფიჩხზე, ძროხების მოსადენად, ხბოების სამწყემსავად, სათამაშოდ და სხვაგან. უყვარდათ კიდეც ბავშვური სიყვარულით ერთმანეთი. როცა გაიზარდენ, როგორც ეს ჩვეულებად არის, რიდი შეექმნათ ერთმანეთის, წინანდებურად მარტო წასვლა-წამოსვლა აღარ შეეძლოთ ერთმანეთთან. მაგრამ სიყვარული და თანაგრძნობა ერთმანეთისადმი კი არ გამქრალიყო ამათ გულში. ლიზას ძმასავით უყვარდა ნიკო. ნიკო კი ფიქრობდა ლიზას ცოლად შერთვას, მაგრამ ჯერ ოჯახი ჰქონდა გაუწყობელი, ამიტომ აგვიანებდა და ვერ უმხელდა ზალიკას. ამასობაში, ის იყო, ჯერანმა მოასწრო ლიზას დანიშვნა. საწყალ ნიკოს მთელი ღამე არ უძინია, როცა გაიგო, ლიზა დანიშნესო. შემდეგ, როცა ჯერანმა ლიზას წაყვანა დააგვიანა, ნიკოს იმედი მოეცა, აღარ შეირთავსო და მიუგზავნა ზალიკას შუამავალი - ლიზა მომეცი ცოლადო. სუსანამ სიხარულით მიიღო ნიკოს მოციქული და თანხმობა განაცხადა ნიკოს წინადადებაზე; ლიზასაც გულმა სიხარულით დაუწყო ცემა. მაგრამ პირმართალი ზალიკაი სულ სხვანაირად უყურებდა საქმეს: „მე კაცს მიძახიან, იმ კაცმა ჩემი ქალი დანიშნა და ახლა სხვაზე რავა გავათხოვო ასე ადვილათო'' - უთხრა მან ნიკოს მოციქულს. აქ ჯერანსაც მიუვიდა ამბავი, ზალიკაი სხვაზე ათხოვებს ლიზასო. „რავა, ჩემი ნიშანი ხელზე აქ ქალს და ახლა სხვაზე ათხოვენ! არ ნდომებიათ თავი ცოცხალი და იგია. ეტყობა, კაცათ არ მაგდებენ! ამის მეტი სირცხვილის ჭამა რაღა იქნება, ჩემ დანიშნულ ქალს სხვაი შეირთავს!'' - თქვა ჯერანმა და აფრინა კაცი ზალიკასთან: ამა და ამ ღამეს ჯვარი უნდა დავიწერო შენ ქალიშვილზეო. სიხარულისაგან აღტაცებულმა ზალიკამ დანიშნულ დროს გამოუწყო თავის ქალს შეძლებისდაგვარად მზითვი“.

ღმერთო ჩემო, რა საზიზღრობაა, ასე დიდებულად აღწერილი!

კიდევ უფრო დიდებულ აღწერას მოვუხმობ ახლა და წავალ დასასრულისკენ შემდეგ!

„„რაც უნდათ, იგი თქვან მერე!'' - ჩაიფუჩუნა მელანიამ და განაგრძო ნაჭერ-ნაჭერად ფიქრი, – „გული არ გეიტეხო, რას ქვია, ჯერ კიდევ ბაღანაი ხარ, ეგება იმისთანაი ბედნიერება მოგელის, რომ შენ ბედს ძაღლმა არ დაჭყეფოსო'', მითხრა თეკლემ. რა კაი გულისაა! ყველა უბედური ანუგეშოს უნდა. კაია ნუგეში, თუ გწამს... მარა მე აღარ მწამს... წევიდა იგი დროი, რომ ვფიქრავდი, აი დღეს, აი ხვალ უკეთესათ შეიცვლება ჩემი ყოფნა-მეთქინ!.. რა კაია ბაღნობა!.. რაზე გამახსენდა ახლა ბაღნობა?.. რავაც კაი ტკბილი სიზმარი, ესე მახსოვს ჩემი ბაღნობა... იმ ღამეს რომ სიზმარი ვნახე, ვითამ მე ნიკოს ცოლი ვიყავი, ახალი სახლი გვქონდა, ჩემი ლუკაი თეთრი პერანგით თამაშობდა ეზოში. ვითამ ჩემი და ნიკოს შვილი იყო. რავა სიყვარულით მიმზერდა ნიკო! მაინც სიზმარში ხანდახან ყოლიფერი ესე კარგათ არის, რომ ცხადათ თავის დღეში არ იქნება... მარა იმ ღამეს საშინელი სიზმარი ვნახე! კლტეი იყო, დაბლა ზღვასავით ბნელი იდგა. რაცხამ გადამაგდო და წევედი უფსკრულში. არსა აღარ იყო ფსკერი, მივფრიალებდი ესე. რა შემეშინა!.. რომ გევიღვიძე, სული შემგუბებოდა. ნეტაი რაა სიზმარი? ნენამ მითხრა, კაცს რომ დიეძინება, სული გაფრინდება და იგიაო. მერე ნიკოს ცოლი რომ არ ვყოფილვარ მე, რეიზა დამესიზმრა?.. რა კაი იქნებოდა, ნიკოს ცოლი რომ ვყოფილიყავი, მარა ვინ იცის? ეგება ქე შეგვძულებოდა ერთი მეორეს. ბევრი ქნილა ამისთანაი... არა, ტყუილია! ერთი გზობა თუკი გიყვარდა კაცს, იმას მერე ასთე მაინც ვერ შეიძულებ. რავარც მე ვძულვარ ჩემ ქმარს. ოცჯელ კი მითხრა - შენ არ მოკტები და სხვაი ყველაო. მართალია! იმას მერე ვითამ და რავაღა ვარ ცოცხალი!.. ღმერთმა იცის, ათასჯელ კი მინატრია სიკტილი. არ მოვკტი! რაა ახლა აგი, ყოლიფერი რომ გამახსენდა? რაღათ მინდა ახლა აგინი? მესამე გზობაა აგი რომ მემართება: ვფიქრავ, ვფიქრავ, ყოლიფერი გამახსენდება და ბოლოს აღაფერი! იმ დღესაც ასთე დამემართა - ვფიქრე, ვფიქრე, ბოლოს ფიქრით მოღალული მივედი წყლის პირზე, შემეშინა და ქე დავბრუნდი შინ. ერთი უწინ კიდევ მევიტანე ფიშტო - მქონდა, მქონდა ხელში, ვეღარ გავბედე და ისევ შევინახე. ნახავ, ახლაც ასე თუ არ დამემართოს!.. ამისთანა დროს ფიქრი ვის გუუგონია! უცფათაი უნდა... და გათავდა! მახსოვს, ბაღნობას ცოფიანმა დამსუნა. მომიტანეს ცოფის წამალი, მარა არ იქნა ვერ დავლიე და ვერა. რავაც მივიკარებდი პირთან, გულზე წამომაზიდებდა და ვერ დავლევდი. არ დამელია, საშველი არ იყო. ბოლოს მივედი, უცფათაი დავხუჭე თვალები და გადვუშვი პირში. გათავდა, სულაც არ იყო ისე საშინელი, მე რომ მეგონა... რა კაია ბაღნობა! მე და ნიკო რომ დავპარპალდებოდით ქედში წაბლიზა! ბაღანაის გული სამოთხეა! - ერთი გუშხამ მესიზმა კიდევ: მე და ნიკო ვითამ ესევე ბაღანაი ვიყავით და ერთათ ვთამაშობდით. ესე ტკპილათ კი გამომღვიძა მაშვინ; რომ!.. ნეტაი არ გამომღვიძებოდა!.. ღმერთო, რა და რას მოვყვები!.. ვის ეწყინება? ნიკოს ეწყინება, ეგებ კიდეც ატირდეს. ნეტაი ერთი მანახვა ახლა! ჯერ ცოლი კიდევ არ შეურთავს თურმე. ნენას, ბაბას, დებს, ძმებს? უწინ ყველას ვუყვარდი და მას მერე ყველამ შემიჩვენა. რამდონი ხანია თვალაი აღარ შემივლია არც ერთიზა! ნეტაი იგინს თუ ენატრება ჩემი ნახვა, რავაც მე იგინის? რა სულელი ვარ! თუ ენატრეაბოდეს, ვინ დუუშლიდა! რომ შევსძულდი, შევსძულდი ყველას! რეზა შეცთიო? რა ვიცი, რეზა შევცთი! ისე იყო ჩემი საქმე მოწყობილი და შევცთი! თლათ იგინია დანაშაული ჩემ შეცთომაში! არა ვითამ? აბა მე ვარ? რა ვიცი, გეიგებს კაცი, ესეა მოწყობილი ჩვენი ყოფნა!.. ნეტაი ლევანს თუ ეწყინება? არა, იმას არ ვუყვარდი, თვარა არც ისე მომიძულებდა! მე ამ დღეში ჩამაგდო, თვითონ ცოლი შეირთო და არის ტკპილათ!..“

P.S.

დიდხანს ვიფიქრე ჩემი ეს წერილი როგორ დამესრულებინა...

უკეთესი ვერაფრით მოვიფიქრე და „კაცია ადამიანის?! ფინალით ვასრულებ...

ჩემი ყივილისა, აბა, რა გითხრათ, და მაინც...

დავასრულოთ ასე:

„მე მიყივლია და გათენდება თუ არა — ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არა ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდისაც იქნებოდა!..

სხვაფრივ მშვიდობით ბძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა...“

გიო კილაძე

ვულოცავთ!
საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ოქრო გიორგი თოხაძემ მოუტანა

ქართველმა ფალავანმა ჯამში 38 ქულა გაუკეთა მეტოქეებს და თავად მხოლოდ 2 მიიღო. 1/8 ფინალში მან რუმინელი მეტოქე 45 წამში დაამარცხა, ხოლო ფინალში ქართველმა ფალავანმა ყაზახი იშხარ კურბაიევი დაამარცხა!

–ძალიან *გახარებული ვარ. დამიფასდა შრომა და მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. გვერდში დგომისთვის მადლობას ვუხდი ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას, ჩემს მწვრთნელებს, ჩემს გულშემატკივრებს. სამომავლო გეგმებში ევროპის და მსოფლიო ჩემპიონობაა* –განაცხადა გიორგი თოხაძემ.

ამ ჩემპიონატზე საქართველოს 23-წლამდე ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი სოსო ჯაბიძე) 3 მედალი მოიპოვა: რომეო ბერიძე (60 კგ.) ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედალი ერგო, ხოლო ხვიჩა ანანიძეს (77 კგ.) ბრინჯაო.

საქართველოს ნაკრებმა გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

გიორგი თოხაძე ჭაბუკებს შორის ევროპის ჩემპიონია (2018 წ.)

ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი (სკოპიე, ჩრდილოეთი მაკედონია 2018 წ) გახდა.

მწვრთნელები – ძმები ზურაბიანები.

ებრაელ და ქართველ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩოხატაურში

1 ნოემბერს საქართველოში, გურიაში, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ებრაელ და ქართველ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი შედგა. ტურნირი 2015 წელს დაფუძნდა „შალომ კლუბის" მიერ და ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომით წელს მეშვიდედ ჩატარდა. ტურნირში 230 ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა საქართველოს 18 მუნიციპალიტეტიდან.

ტურნირს დაესწრო ისრაელის ელჩი საქართველოში ქალბატონი **ჰადას მეიცადი,** ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელები, „მაშავ" საქართველოს დირექტორი ბატონი **გიორგი ულენტი.**

ამაღელვებელი იყო ბავშვების მისალმება ქალბატონი ელჩისათვის ივრითულ ენაზე.

ტურნირში გუნდური პირველი ადგილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოჭიდავეებმა მოიპოვეს და გარდამავალი თასი მათ ისრაელის ელჩმა ქალბატონმა ჰადას მიცადმა გადასცა.

იმავე დღეს ქალბატონი ელჩი ჩოხატაურელ ახალგაზრდებს შეხვდა პირველ საჯარო სკოლაში.

საღამოს კი მუსიკალურ სკოლაში პატარებმა გამართეს ღონისძიება და ებრაულად შესრულებული სიმღერებით მხარდაჭერა გამოხატეს ისრაელელი თანატოლებისადმი.

„შალომ ალეიჰუმ" მალაჰეა შალომ – მღეროდა პატარა სესილი.

„შალომ ისრაელ" არა ტერორიზმს.–

ესალმებოდნენ ელჩს გურულები და ამით თანადგომას გამოხატავდნენ ებრაელი ხალხისადმი.

თენგიზ არჩვაძე ოზურგეთში

ალიონი. რამდენიმე დღის წინ დიდუბის პანთეონში დაკრძალეს ქართული თეატრის და კინოს ცნობილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი **თენგიზ არჩვაძე.**

მისი სასაცენო მოღვაწობის ძირითადი პერიოდი თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრს უკავშირდება, სადაც მან ათეულობით როლი შეასრულა. თუმცა მაყურებელი მას მაინც ქართულ კინოში შესრულებული შესანიშნავი როლებით იცნობს, საიდანაც გამოვყოფდით: თამაზი („კეთილი ადამიანები"), გუგუა („ხევისბერი გოჩა"), იმედა („ხევსურული ბალადა"), ალუდა („ვედრება"), გიორგი („ჯვარცმული კუნძული"), კონსტანტინე არსაკიძე („დიდოსტატის მარჯვენა"), ვახტანგი („შეხვედრა მთაში"), დათიკო („მე ვხედავ მზეს"), მუშნი ზარანდია („დათა თუთაშხია") და ათეულობით სხვა როლი.

ქ. ოზურგეთში 1938 წელს გაიხსნა კინოთეატრი, რომელიც ქალაქის კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

ოზურგეთის რაიონის კინოფიკაციის განყოფილებას გასული საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში შესანიშნავი ადამიანი **გივი მჟავანაძე** ხელმძღვანელობდა. მის გვერდით იდგნენ ოზურგეთის კინოთეატრის დირექცია (**ელგუჯა ბურჭულაძე, აკაკი კახიანი**). გვახსოვს მათ მიერ ორგანიზებული ლამაზი შეხვედრა იპოლიტე ხვიჩიასთან.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ოზურგეთის კინოთეატრში რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ფილმის „დათა თუთაშხიას" ჩვენება, რომლის ნახვაც საღამოს სეანსის (9 საათზე) შემდეგ საზაფხულო კინოთეატრის სცენაზე შეიძლებოდა. ბილეთების შოვნა კი ძალიან ჭირდა ამას არა მარტო ფილმის სცენარი და რეჟისურა განაპირობებდა, არამედ ოთარ მეღვინეთუხუცესის და თენგიზ არჩვაძის მიერ შესრულებული გმირები, ქართული კინოს მსახიობების შესანიშნავი პლეადის ოსტატობა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ოზურგეთს თენგიზ არჩვაძე ეწვია. მას ოზურგეთის კულტურის სამსახურმა და კინოფიკაციის განყოფილებამ შესანიშნავი შეხვედრა მოუწყვეს.

სურათზე (მარჯვნიდან): ელგუჯა ბურჭულაძე, ქ. ოზურგეთის ვიცე-მერი თენგიზ კუნჭულია, ჭანიეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოკი სურგულაძე, გივი მჟავანაძე, გაზეთ „ალიონის" ჟურნალისტი ნუგზარ ასათიანი..თენგიზ არჩვაძე ამ ფოტოში „სოვეტსკი კრასნი კრესტის"(გამოდიოდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ ენებზე და მსოფლიოს 125 ქვეყანაში ვრცელდებოდა) რედაქტორ იური მარტინოვთან და წითელი ჯვრის ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ეთერ კიღურაძესთან ერთად დგას.ფოტოზე ასევე არიან როლანდ თავაძე (რაიკომის განყოფილების გამგე), საკავშირო წითელი ჯვრის წარმომადგენელი ქალბატონი და სოფელ ნატანების ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქტორი შალვა ნიკოლაიშვილი.

ამირან გოგიტაურის
ფოტო.

ფოლკლორის ცენტრში საოპერო მომღერლის გიორგი გობრონიძის კონცერტი გაიმართა

აწზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის წარმომადგენლობის დარბაზში უპრეცენდენტო კონცერტი გაიმართა: ახალგაზრდა ხელოვანთა ხელშეწყობის მიზნით, ფოლკლორის ცენტრმა ჩვენს თანამოქალაქეს, ნიჭიერ და პერსპექტიულ საოპერო მომღერალს **გიორგი გობრონიძეს** უმასპინძლა. კონცერტი გახსნა და მსმენელს ხელოვანი წარუდგინა ცენტრის ხელმძღვანელმა **ავთანდილ სურგულაძემ.**

კონცერტზე შესრულებული იყო ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები: ო.თაქთაქიშვილის რომანსი „მთაწმინდის მთვარე", ბონონჩინის „პერლა გლორია", ზ. ფალიაშვილის „ინკუბუსუს კუპლეტები", ვა. მოცარტის ფიგაროს არია, ბალანჩივაძის გოჩას არია, ჯ. ვერდის როდრიგოს არია, ნეაპოლიტანური რომანსი - დე კურტისის „ნონ ტი სკორ დარდიმე" და ფალვოს „დიჩინდენჩელო ვუიე". ხელოვანს სიმღერით გზა დაულოცეს მომღერლებმა **დარეჯან სხვიტარიძემ** ეთერის არიით ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი" და ანსამბლ „შვიდკაცას" წევრმა **ლევან ნინიძემ** რ. ლეონკავალოს კანიოს არიით ოპერიდან „ჯაბაზები".

მომღერალს აკომპანიმენტს უწევდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკალური ფაკულტეტის კონცერტმაისტერი **მზევინარ ჯოჯუიშვილი.** საღამო მიჰყავდა ფოლკლორის ცენტრის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელ **მაია გელაშვილს.**

ამჟამად გიორგი გობრონიძე ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ვოკალის ფაკულტეტის მე-4 კურსზე სწავლობს. 2024 წლიდან სწავლას გააგრძელებს ქალაქ რომში ცნობილი ბანის ბორის ხრისტოვის სახელობის აკადემიაში.

მზე, ღრუბელი +16+26	წვიმა +14+19	მზე, +11+21	ღრუბელი +12+23	წვიმა +12+18	წვიმა +11+17	ღრუბელი +9+19
6 ნოემბერი ორშაბათი	7 ნოემბერი სამშაბათი	8 ნოემბერი ოთხშაბათი	9 ნოემბერი ხუთშაბათი	10 ნოემბერი- პარასკევი	11 ნოემბერი შაბათი	12 ნოემბერი კვირა